ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიისა და სამსახურის დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში განსახილველად და შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით შემოსული არის 355 ერთეული წერილი სხვადასხვა უწყებებიდან და ფიზიკური პირებიდან, ყველა წერილი შესწავლილი და პასუხგაცემულია სამსახურის მიერ, მომზადდა მერის სამართლებრივი აქტების (ბრძანების) 81 პროექტი, 711 ერთეული გასაგზავნი წერილების პროექტები, ხოლო მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან გაგზავნილია 99 ერთეული წერილი. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა 81 რეგისტრაცია, რომელიც მოიცავს უძრავი ქონების რეგისტრაციას, რეგისტრირებული ფართების საზღვრების კორექტირება- დაზუსტებას და უძრავი ქონების დაყოფას.

2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონებიდან, მერიის მოთხოვნის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია: სოფელ ღორეშაში მდებარე 5 და სოფელ უბისაში 1 ერთეული მგზავრთა მოსაცდელი, სოფ. ნებოძირში წისქვილი, დაბა ხარაგაულში 2192 კვ.მ და სოფელ კიცხში 705 კვ.მ ფართების აგრარული ბაზრების უძრავი ქონება, ამ კუთხით იგეგმება აღნიშნული ბაზრების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რის

შემდეგ მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება, პროფილის შენარჩუნების პირობით გაიცემა სარგებლობის უფლებით. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია აგრეთვე სოფელ კიცხში 459 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ყოფილ ვეტსამკურნალომდე მისასვლელი გზის მოსაწყობად, ღორეშაში 186 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც აშენდა მგზავრთა მოსაცდელი, დიდვაკეში სკვერის მოსაწყობად 2741 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ნაწილობრივ მოწყობილია და გამოყენებულია სკვერის დანიშნულებით, გედსამანიაში წისქვილი, რომელსაც ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და გამოყენებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიზნობრი დანიშნულებით, გედსამანიაში 204 კვ.მ მიწის ნაკვეთი ყოფილი მაღაზიის ნანგრევებით, რომელიც დემონტაჟის შემდეგ გამოყენებული იქნება მიმდებარედ გამავალი შიდა საუბნო გზის მოსაწესრიგებლად და სარიტუალო დარბაზის ეზოს გასაფართოებლად.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით დაბის შემოსასვლელის აღმნიშვნელი ბანერების განთავსების მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა დაბა ხარაგაულში (დევდარიანის ქუჩა) 10 კვ.მ, დაბაში (ხანდები) 24 კვ.მ და საღანძილეში 15 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ამავე უწყების თანხმობით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა დაბაში სოლომონ მეფის ქუჩის N92-ის მიმდებარედ 980 კვ.მ და 313 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სოფელ ბჟინევში 50 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც შეტანილი იქნება საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, ღორეშაში 186 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაზეც აშენდა მგზავრთა მოსაცდელი.

2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა: 36.01.31.991 ს/კ-ით დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის 96ა-მიმდებარე 751 კვ.მ,

სოფ.მოლითში 36.17.33.804 ს/კ-ით 2990 კვ.მ და 36.17.33.807 ს/კ-ით 1115 კვ.მ, სოფ. ფონაში 36.19.33.416 ს/კ-ით 6504 კვ.მ, სოფ. ქვებში 36.17.35.136 ს/კ-ით 477 კვ.მ და 36.17.35.135 ს/კ-ით 4653 კვ.მ,სოფ. სარგვეშში 36.07.32.257 ს/კ-ით 25 კვ.მ, სოფ.ვერტყვილაში 36.08.32.352 ს/კ-ით 2843 კვ.მ და 36.08.32.353 ს/კ-ით 3283 კვ.მ სოფ. გოლათუბანში 36.19.32.997 ს/კ-ით 4418 კვ.მ ერთეული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სოფ. წყალაფორეთში 36.12.37.666 ს/კ-ით 33 კვ.მ და სოფ. უბისაში 36.03.44.810 ს/კ-ით 224 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სულ მათი ფართი შეადგენს 27316 კვმ-ს.

განხორციელდა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 13 ერთეული შიდა საუბნო გზა და 11 ერთეული ქუჩის განათება.

განხორციელდა თეთრაწყაროში 1488 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის მიზნობრივი ცვლილება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებად, რომელზედაც მოეწყო სტადიონი.

განხორციელდა დაბა ხარაგაულში პარკის ფართის დაყოფა, გამოიყო ცალკე საკადასტრო კოდით 255 კვ.მ უძრავი ქონება შემდგომში სარგებლობის უფლებით გასაცემად, ასევე სოფელ მოლითში მოხდა უძრავი ქონების დაყოფა, რომელიც იჯარით იქნა გაცემული გზის მშენებელ ორგანიზაციაზე, ასევე მოხდა დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ.N50ა-ში მდებარე უძრავი ქონების დაყოფა, დაყოფის შედეგად მიღებული 35 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მგადაეცა სარგებლობის უფლებით უზუფრუქტით ა(ა)იპ „ოუფენ ნეთი“-ს საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, ასევე განხორციელდა დაყოფის შედეგად დარჩენილი 36.01.31.491 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ნახაზის საჯარო რეესტრში

გასწორება, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე დატანილი იყო დანგრეული შენობა-ნაგებობა, თუმცა ქონება წარმოადგენს მოწყობილ სკვერს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე დაყენებულია საკითხები რომლებზედაც მიმდინარეობს საქმის წარმოება: დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა მე-2 ჩიხში მდებარე 6128 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მოთხოვილია ა(ა)ი.პ „კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის“ საჭიროებისათვის მის განკარგულებაში გადაცემული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისა და სასაწყობო მეურნეობის მოსაწყობად, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული მოძრავი ქონების დროებით განსათავსებლად, მოთხოვილია 36.01.31.1997 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 391 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ყოფილი ნავთის წერტი) დაყოფა, ვინაიდან აღნიშნულ ფართში შესული არის შიდა საავტომობილო გზა, რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს და ეცნობა ქონების ეროვნულ სააგენტოს რათა არ მოხდეს შემდგომში მისი განკარგვა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ მიმდინარეობს საქმის წარმოება სოლომონ მეფის ქუჩა N 90-ა-ში მდებარე 58 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავ ქონებაზე, აღნიშნული ობიექტის რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან ზედდებაში მოხვედრის გამო, საქმის წარმოება დამთავრდება სისტემური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ. აგრეთვე მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის შესახებ საქმის წარმოება დაბაში სოლომონ მეფის ქუჩაზე, კინოთეატრის მიმდებარედ 71 კვ.მ და სოფელ ბორითში 30 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N 84-ის მიმდებარედ 70 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, შემდგომში პრივატიზების მიზნით.

გაფორმდა მიწის ნაკვეთის ჩუქების 1 ხელშეკრულება, კერძოდ ფიზიკურმა პირმა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოცა სოფელ ქროლში 36.02.31.210 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მოწყობილ ჭაბურღილზე ელექტროენერგიის მიწოდებისათვის ელექტრომრიცხველის მონტაჟის მიზნით.

გაფორმდა უასასყიდლო უზუფრუქტის 4 ხელშეკრულება, რომლებიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მიმართვა გაეგზავნა სსიპ სამხედრო გაწვევის და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ ცენტრს და ველოდებით მათ წარმომადგენელს ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 7 იჯარის ხელშეკრულება, მათ შორის 1 ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო 6 პირდაპირი განკარგვის წესით, ვადის გაგრძელების მიზნით ცვლილება შევიდა 2 ხელშეკრულებაში. დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებული არის 21 იჯარის ხელშეკრულება, საიდანაც საანგარიშო პერიოდში იჯარის ქირა შემოსული არის 64 613 ლარი. იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეებს ეგზავნებათ წერილები გადაუხდელი ქირის გადახდის მიზნით.

სამსახური მუნიციპალიტეტის მერიაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების საფუძველზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული თუ დასარეგისტრირებელი უძრავი ქონების განკარგვას ,,ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ, მერის წარმომადგენლების დახმარებით ახდენს მოკვლევას და შესწავლას ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის შესახებ და წერილობით ინფორმაციას აწვდის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას. საანგარიშო პერიოდში შესწავლა და მოკვლევა მოხდა 11 წერილზე.

სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, საანგარიშო პერიოდში ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 4 ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი

უძრავი ქონება: დაბა ხარაგაულში 36.01.31.1986 და 36.01.31.467 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 80 კვ.მ და 92 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სოფელ მოლითში 36.17.34.450 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 150 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და სოფელ ბორითში 36.03.41.024.01.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 99.54 კვ.მ ფართი, ოთხივე ობიექტის პრივატიზების თანხა შეადგენს 42340 ლარს.

მომზადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის ნებართვის გაცემის წესის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტები.

სამსახურს კომუნიკაცია აქვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მომრავლებულ გარეულ ცხოველთა რეგულაციის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე გამოცემული იყო მინისტრის ბრძანება, რომლითაც გასაზღვრული იყო ცხოველთა იმ სახეობის ჩამონათვალი, რომელთა ამოღებაც შესაძლებელი იყო სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ვინაიდან დაფიქსირდა მოსახლეობისათვის გარეულ ცხოველთა მიერ ზიანის მიყენების ფაქტი და გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების თაობაზე მოსახლეობიდან მერიაში შეტყობინება არ შემოსულა მერიის თხოვნის საფუძველზე სამინისტრომ გაგრძელა ბრძანების მოქმედების ვადა კიდევ ერთი წლით, რომელიც ეცნობათ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიგზავნის პროგნოზს, მოსალოდნელი ამინდის და სტიქიური მოვლენების შესახებ და საფრთხის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციას გავრცელების მიზნით ვაწვდით, როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ასევე მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამსახურის ინიციატივით საანგარიშო პერიოდში 2 -ჯერ გაიმართა დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩაერთნენ მერიის საჯარო მოსამსახურეები და ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სამსახურთან შეთანხმებით ვახდენთ იმ იურიდიული პირების მოკვლევას, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენს, მიეწოდებათ დასუფთავების სერვისი და მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავირებით ვუფორმებთ დასუფთავების ხელშეკრულებებს. რიგი იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე ხდება მიღება_ჩაბარების აქტების პროექტების მომზადება, გაფორმება და დაგზავნა, რომლის საფუძველზეც იხდიან დასუფთავების გადასახადს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 119031 ლარი.

სამსახური ასევე ჩართული არის სხვადასხვა კომისიების მუშაობაში, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ მუდმივმოქმედი საბჭოს ხელმძღვანელობს სამსახურის ხელმძღვანელი, სადაც საანგარიშო პერიოდში შემოვიდა და დამუშავდა 37 განცხადება, მათგან 35 სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო 2 მინიჭებული სტატუსის შეწყვეტაზე, ასევე მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შექმნილ კომისიას ხელმძღვანელობს სამსახურის ხელმძღვანელი, ასევე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე არის სამსახურის ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის 19 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა, ამ დროისთვის კი მიმდინარეობს დაბაში არსებული ქონების აღწერაზე მუშაობა, ხოლო კომისიის დასკვნა წარმოდგენილი იქნება უახლოეს პერიოდში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა სამსახურში გამოცხადების და დაკისრებული მოვალეობის შესრულების“ კომისიას ხელმძღვანელობს, სამსახურის ეკონომიკის განყოფილების უფროსი, კომისია

მონიტორინგს უწევს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა საქმიანობას, ასევე სამსახურის ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი მონიტორინგს და კონტროლს უწევს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სკოლებში მიყვანისა და უკან წამოყვანის პროცესს, მიმწოდებელსა და მერს შორის 2023 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული N5 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის მიერ განსახორციელებელ მომსახურებაზე, რომლის შესრულებაზე ინფორმაცია მიეწოდება დაწესებულების ხელმძღვანელს ყოველი თვის ბოლოს.

სამსახურის აქტიური ჩართულობით და ორგანიზებით დამტკიცდა მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტი, ასევე მომზადდა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება საკრებულოში დამტკიცების მიზნით.

სამსახური აქტიურად ვთანამშრომლობთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიასთან.